საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 17

2015 წლის 7 ოქტომბერი . ბათუმი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 5 ივლისის N63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 26-ე მუხლისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად:

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 5 ივლისის N63 დადგენილებასა და ამ დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში (გაზეთი ,,აჭარა“ N130 (22.392), 13.07.05) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 5 ივლისის N63 დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 5 ივლისის N63 დადგენილებასა და ამ დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის“ ნაცვლად მიეთითოს ,,საჯარო სამართლის

იურიდიული პირი - აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი".

2. დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან.

მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე